პირველი არხი - ტელესკოლა, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, არაქართულენოვანი სკოლებისათვის ქართული ენის ტელე-გაკვეთილების მომზადების მიზნით, კონკურსში მონაწილეობისათვის იწვევს **ქართული ენის მასწავლებლებს.**

დამატებითი ინფორმაცია:

კონკურსის შედეგად შერჩეულ მასწავლებლებთან კონტრაქტის თაობაზე კომუნიკაცია განხორციელდება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ.

შესასრულებელი სამუშაო:

არაქართულენოვანი სკოლებისათვის ტელე-გაკვეთილების მასალის მომზადება შინაარსობრივად და ვიზუალურად;

შემსრულებლის მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება;
- ქართული ენის მასწავლებლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი;
- აზერბაიჯანულენოვან და/ან სომხურენოვან სკოლაში ქართული ენის მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 3 წლისა;
- კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (Microsoft word, Microsoft PowerPoint);
- დადგენილ ვადებში მუშაობის უნარი და პასუხისმგებლობის გრძნობა;
- კომუნიკაბელურობა.

დაინტერესებულ კანდიდატებს, გთხოვთ, გამოაგზავნოთ თქვენი რეზიუმე (CV) არაუგვიანეს 2021 წლის 26 თებერვლისა ელექტრონულ მისამართზე: chvenikartuliena@gpb.ge ;
გთხოვთ, მეილს სათაურის ველში (subject) მიუთითოთ **ქართული ენის მასწავლებელი.** სხვა შემთხვევაში, თქვენი მონაცემები არ განიხილება.
გისურვებთ წარმატებას!